პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი შაბათი 19 მაისი № 116 (17461) ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის ადამიანები

სურათზე: თბილისის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მუშები (მარცხნიდან): მემანქანის თანაშემწე ალექსანდრე ვოლოდინი, პირველი კლასის მემანქანე ოთარ ბარნაბიშვილი და მეორე კლასის მემანქანე ვაჟა ნანიტაშვილი. ისინი ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავს.

ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბოსტნეულის კონვეიერი

ქვეყნის სამხრეთიდან მაღაზიები იღებენ საადრეო ბოსტნეულს, და ყოველდღიურად ამ პროდუქციის ნაკადი სულ უფრო იზრდება. არაშავმიწანიადაგიან ზონაში, ვოლგისპირეთში, ციმბირის რაიონებში კი მხოლოდ ახლა იწყება სამუშაოები ბოსტნებში.

ასრულებენ რა პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სოფლის მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ დარგის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის. ინდუსტრიული ცენტრების გარშემო შექმნილია 1.700 სპეციალიზებული მეურნეობა. გაიზარდა კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესები სარწყავ მიწებზე, სულ უფრო ფართოდ ინერგება წარმოებაში კომპლექსური მექანიზაცია.

ხუთწლედის მეოთხე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 17,1 მილიონი ტონა კარტოფილი, 17,6 მილიონი ტონა ბოსტნეული, 5,9 მილიონი ტონა ხილი, 5,8 მილიონი ტონა ყურძენი, 2,3 მილიონი ტონა ბაღრეული — მეტი, ვიდრე ოდესმე. გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს ყველა რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა. მეურნეობათა გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობა, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება საშუალებას აძლევს მათ, დაგვიანებული გაზაფხულის ხიდვადად, ოპტიმალურ ვადებში დათესონ კულტურები, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ უხვ მოსავალს.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ მთელ რიგ რაიონებში კარტოფილის, ბოსტნეულის მოსავლიანობა ჯერ კიდევ მცირეა, პროდუქციის შესყიდვის გეგმები იშლება. ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ქვეყანას დიდძალი ასეთი პროდუქცია დააკლეს რიაზანის, ტულის, გორკის, პენზის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ივანოვოსა და კოსტრომის ოლქების მეურნეობებში კი შეამცირეს კიდეც სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის საშუალო-წლიური მიყიდვა გასული ხუთწლედის დონესთან შედარებით. მოვალეთა შორის არიან მოლდავეთის მებაღეები, საქართველოს მევენახეები. რა არის ჩამორჩენის მიზეზი? ეს არა მარტო რთული ამინდის პირობების, არამედ იმის შედეგია, რომ სათანადოდ არ მოუარეს ნათესებს, იყო მოყვანილი პროდუქციის დანაკარგები.

სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც ახლა ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რათა არა მარტო შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმები, არამედ შეავსონ კიდეც დავალიანება. სოფლის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში შეტანილია 150 მილიონი ტონა ორგანული სასუქები. სულ უფრო მეტი შეაქვთ მინერალური სასუქები. გაფართოვდა ხარისხოვანი კარტოფილის ნათესები, შეიქმნა მეკარტოფილეთა მექანიზებული ბრიგადები და რგოლების ფართო ქსელი. სპეციალისტებმა ყოველი მინდვრისათვის შეიმუშავეს ტექნოლოგიური რუკები.

დაგვიანებულ გაზაფხულს შესწორებები შეაქვს წინათ შედგენილ გრაფიკებში. ტემპერატურის ხშირი ცვალებადობის, აცივების პირობებში განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება მცენარეებს. ამავე დროს თურქმენთის სსრ გეოკ-თეფეს და აშხაბადის რაიონების მეურნეობებში, მაგალითად, დაახლოებით ას ჰექტარ საადრეო კომბოსტოს სარეველები მოედო. ამგვარი ფაქტები მოსავლის დანაკარგებს იწვევს, და უუაირათობის ყოველ შემთხვევას პრინციპული შეფასება უნდა მიეცეს.

უხვად უნდა მოვიწიოთ და არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი ნაყოფი, რათა რაც შეიძლება სრულად დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა, ამას ბევრად უწყობს ხელს ბოსტნეულის მიღება უშუალოდ წარმოების ადგილებში და დამამზადებელთა მიერ მისი ტრანსპორტით გაზიდვა. საგულისხმოა ასეთი კავშირის განვითარების გამოცდილება მოსკოვის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკისა და როსტოვის ოლქებში. აქ ბოსტნეული და კარტოფილი ბაზების გეერდის ავლით გადაუცილებლად მინდვრიდან უშუალოდ მომხმარებლებთან მიაქვთ. ამავე დროს მთელ რიგ ადგილებში, მაგალითად, ვლადიმირისა და ულიანოვსკის ოლქებში პირდაპირი კავშირი ჯერ კიდევ სუსტად ვითარდება, არის მოსავლის დანაკარგები მისი დაცვა-შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების დროს. ასე იმატომ ხდება, რომ ადგილობრივი საბჭოები, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ ბოსტნეულის პროდუქციის რეალიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვისათვის.

ძალზე ცოტა დრო რჩება ახალი მოსავლის მახობრივ აღებამდე. მაგრამ ზოგან აგვიანებენ ალოობისათვის მზადებას. შეშფოთებას იწვევს საქმის მდგომარეობა სამხრეთ ოსეთის საკონსერვო მრეწველობის საწარმოო გაერთიანების საწარმოებში. არდონისა და ქარცინის საკონსერვო ქარხნებში ჭიანურდება ბოსტნეულის გადასამუშავებელი ხაზების დამონტაჟება. ანალოგიური სურათია ოდესის ოლქის სარატოისა და ტატარბუნარის საკონსერვო ქარხნებში, სადაც დღემდე არ მოუწესრიგებიათ საქვაბე მეურნეობა. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყველა საწარმო ყოველმხრივ შეიარაღებული შეხვდეს მოსავლის გადამუშავების სეზონს.

მილიონობით ტონა კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი უნდა მიიღონ ბაღ-ბოსტნებიდან მომხმარებლებმა. ბოსტნეულის კონვეიერის ყველა რგოლი რომ ზუსტად, შეთანხმებულად მოქმედებდეს, დროზე უნდა გავუპირველნოთ ნედლეულის ზონები ყოველ საკონსერვო საწარმოსა და სავაჭრო ორგანიზაციას, ერთად შეიმუშაოთ გადაზიდვის გრაფიკები. გაცხარებული ალოობის დროს მხოლოდ მაღალი ორგანიზებულობა მოგვცემს შესაძლებლობას თავიდან ავიცილოთ პროდუქციის დაგროვება ბაღ-ბოსტნებში, მანქანების მოცდენა. უკვე ახლა დროა ვიზრუნოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის დაცვა-შენახვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აღგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მკაცრ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ახალი ტევადობების მშენებლობა, მოქმედთა რემონტი და რეკონსტრუქცია ყოველივე იმის შესანახად, რაც საჭიროა ზამთრისათვის.

ბოსტნებისა და პლანტაციების ნაყოფით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საავჭრო ორგანიზაციებს. ხდება ხოლმე, რომ უწყებრივი შეუთანხმებლობის გამო ფერხდება მოყვანილი მოსავლის შესყიდვა. ცენტროსოიუზმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გააფართოონ პირადი საკრამდამო მეურნეობებიდან ზედმეტი ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის მიმღები პუნქტების ქსელი, უფრო სრულად გამოიყენონ ეს დამატებითი წყარო მშრომელთა მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმართონ ხუთწლედის მეოთხე წლის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. ვინაიცის ოლქის იამპოლის რაიონის კომუნისტთა მაგალითისამებრ ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ შეჯიბრებას უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გადასამუშავებელი საწარმოების კოლექტივების თანამგობრობის ხელშეკრულებებმა ფართო გაქანება შეიძინოს.

მომავალი ხაზაფხულო სეზონი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მოსახლეობის სურსათით მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესრულების გზაზე. დაე სულ უფრო ძლიერდებოდეს შეჯიბრება მინდვრებში, პლანტაციებსა და ბოსტნებში სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის!

მეგობრულ ვიზიტად

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით უახლოეს დღეებში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას მეგობრულ ვიზიტად ეწვევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

სსრ კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

18 მაისს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად ჩამოსული იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოს მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაზე განაგრძეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების განხილვა. ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ბროზ ტიტომ ხაზი გაუსვეს, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის, ორივე ქვეყნის ხალზების ძირეულ ინტერესებს შეესაბამება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურასა და სხვა დარგებში ორივე მხარის ურთიერთობის გამდიდრება.

მოლაპარაკების დროს აღინიშნა, რომ ზოგიერთი საგარეო-პოლიტიკური საკითხის შეფასებაში განსხვავების მიუხედავად, საბჭოთა კავშირ- იუგოსლავიის ურთიერთობაში განსმაზღვრელი მნიშვნელობა აქვს იმ ფუნდამენტურ მდგომარეობას, რომ საერთაშორისო საქმეებში სსრ კავშირიც, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკაც იბრძვიან მშვიდობისათვის და ადამიანურობის შენელებისათვის, ყველა ქვეყნისა და ხალხის დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის.

ორივე მხარემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თანამედროვეობის ერთ-ერთ უმწვავეს ამოცანას — განიარაღების პრობლემას.

მოლაპარაკების დროს, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია მტკიცედ იბრძვიან დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების, მსოფლიოს ყველა რაიონზე მისი გავრცელებისათვის, პოლიტიკური დაძაბულობის შენელებისა და სამხედრო დაძაბულობის შენელების შერწყმისათვის, მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის, ხალხთა თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების უფლებების პატივისცემის პირობებში კრიზისული სიტუაციების მოწესრიგებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს აზრით, ყველა ქვეყანა აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ი. ბროზ ტიტომ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მიიწვია იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც კმაყოფილებით დათანხმდა მიწვევას.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს მოლაპარაკებამ მეგობრულ, გულახდილ ატმოსფეროში და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით ჩაიარა.

რესპუბლიკის რკინიგზელთა მუშაობა — სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების დონეზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის კრებაზე 1979 წლის 14 მაისს

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ მივულოცო ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს შესანიშნავი გამარჯვება და 1979 წლის პირველ კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდება, რომელიც დღეს გადმოგცათ გზათა მინისტრმა ამხანაგი ივანე გრიგორის ძე პავლოვსკიმ.

ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით გულითადად მივესალმო ამხანაგ ი. გ. პავლოვსკის, რომელიც ჩვენთან ჩამოვიდა არა მარტო სოციალისტურ შეჯიბრებაში ამიერკავკასიის რკინიგზელთა გამარჯვებასთან დაკავშირებით, არამედ იმისთვისაც, რომ ჩვენთან ერთად განიხილოს და დაგვეხმაროს ამიერკავკასიის რკინიგზის განვითარებისა და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში.

ასევე ძმურად მინდა მივესალმო სომხეთის სს რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომლებიც რკინიგზისათვის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის გამო ზეიმობაზე ჩამოვიდნენ და თავაზიანად დათანხმდნენ თხოვნას დარჩენილიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს სსრ რკინიგზის ტრანსპორტის ამოცანების განხილვისადმი მიძღვნილი აქტივის მუშაობაში.

ჩვენი აქტივის მუშაობა მიმდინარეობს ერთსა და იმავე დროს საქმიან და საზეიმო ვითარებაში.

საზეიმო ვითარება არათუ არ გამორიცხავს კომუნისტურ საქმიანობას, არამედ, პირიქით, ხელს გვიწყობს უფრო სერიოზულად მოვეკიდოთ გადასაწყვეტ პრობლემებს, მთელი ყურადღება დავუთმოთ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის მწვავე და პრინციპული საკითხების განხილვას.

ჩვენ მოვალენი ვართ საქმიანად, ნაკლოვანებათა გამგებელი კრიტიკის საფუძველზე გამოვალინოთ ტრანსპორტის მუშაობის აღმავლობის ახალი რეზერვები.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ტრანსპორტზე ნაკლოვანებებისათვის პასუხს მარტო რკინიგზელები როდი აგებენ. რკინიგზის მუშაობის გაუმჯობესების საქმე ჩვენი საერთო საზრუნავია. ეს არის საერთო-პარტიული, საერთოსახელმწიფო საქმე.

როგორც მახსოვს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაკთა ასეთი საქმიანი შეხვედრა რკინიგზელებთან უკანასკნელი წლების მანძილზე პირველია, და სასურველი იქნება, რომ მან საქმიან ვითარებაში ჩაიაროს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ყოველდღიურად, ღრმად და ბეჯითად მუშაობენ ტრანსპორტის პრობლემების გადაწყვეტისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში, გამოსვლებში ტრანსპორტისათვის პარტიულ ზრუნვას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

სრულიად საკავშირო ალკა XVIII ყრილობაზე თავის მკაფიო გამოსვლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, როცა სახვადა გზებს, თუ რას უნდა მოვაახმაროთ კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებელთა ენერგია, ორ დიდმნიშვნელოვან პრობლემას შორის, რომელთა გადაწყვეტაზე უდიდესწილად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, მან დაასახელა ტრანსპორტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, სამდივნო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტრანსპორტის, კერძოდ რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი განვითარების პრობლემებს.

ტრანსპორტის საჭიროებებისათვის ზრუნვისა და ყურადღების ერთ-ერთი გამოვლინება იყო გზათა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ა. ნ. კოსიგინისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. პ. კირილენკოს მონაწილეობა და გამოსვლა.

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ეს ფაქტები თითოეულ ჩვენგანს გვავალდებულებს მტკიცედ მოვკიდოთ ხელი ტრანსპორტის საქმეს, ღრმად ჩავწვდეთ მის საჭიროებებს და მაქსიმალურად დავეხმაროთ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი აქტივის მუშაობა წარიმართება პარტიული საქმიანობის, ურთიერთმომთხოვნელობისა და ურთიერთნდობის ვითარებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, გაწეული მუშაობის ყოველმხრივი ანალიზისა და სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, საქართველოს პარტორგანიზაციის იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ გადაწყვეტილებათა მიხედვით მომავლის გზების მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრის ნიშნით.

ტრადიციისამებრ, საბჭოთა ადამიანები, როცა გარკვეულ ეტაპს გაავლიან და ახალ მიჯნებზე გავლენ ხოლმე, უდიდესი დაინტერესებით აჯამებენ თავიანთი შრომის შედეგებს და სახავენ ახალ ამოცანებს.

ქვეყანასა და რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება მეათე ხუთწლედის დავალებანი.

კარგად იშრომა საბჭოთა ხალხმა დამკვრელურ 1978 წელს. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 4 პროცენტით. სამრეწველო წარმოება გადიდდა 4,8 პროცენტით და 587 მილიარდ მანეთს მიაღწია. პირველად ქვეყნის ისტორიაში მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა 235 მილიონ ტონას მიაღწია. მოწეულია მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების რეკორდული მოსავალიც.

გადაიდგა ახალი დიდი ნაბიჯი საბჭოთა ადამიანის მზარდ სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზაზე. მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებელთა ენერგია, ორ დიდმნიშვნელოვან პრობლემას შორის, რომელთა გადაწყვეტაზე უდიდესწილად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, მან დაასახელა ტრანსპორტი.

წარსული ზამთრის არაჩვეულებრივად მკაცრი პირობების მიუხედავად, აკეთებ ურიგო შედეგებია მიღწეული მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1978 წლის გეგმის შესრულებაში ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს სს რესპუბლიკამ. რესპუბლიკამ მიაღწია შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მატებას და 101,9 პროცენტით შეასრულა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1977 წელთან შედარებით 7,4 პროცენტით გადიდდა. ამით რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა შეასრულეს თავიანთი უმნიშვნელოვანესი სოციალისტური ვალდებულება სამრეწველო წარმოების ტემპის უპირატესი ზრდის შესახებ.

სახელოვნად იშრომა ჩვენმა კოლმეურნე გლეხობამ. დამზადებულია 430 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და 575 ათასი ტონა ყურძენი. ამ უმნიშვნელოვანესი კულტურების ასეთი უხვი მოსავალი რესპუბლიკას წინა წლებში არასოდეს არ მოუწევია.

გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ციტრუსის, ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის დამზადების გეგმები.

მწყობრში ჩადგა ენერგეტიკული გიგანტი — ენგურჰესი და მთელი რიგი სხვა ნაგებობანი.

მეათე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში, მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში 51,2 პროცენტით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 71 პროცენტით გადიდდა, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება — 27,6 პროცენტით, ეროვნული შემოსავალი — 45,8 პროცენტით.

როგორც მოგეხსენებათ, რესპუბლიკას ზედიზედ მეექვსედ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მიღწევებისათვის.

ასე გამოიყურება ყველაზე კონცენტრირებული სახით სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ ვალდებულებათა შესრულებისათვის საქართველოს კომუნისტებისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის შთაგონებული და თავდადებული ბრძოლის მთავარი შედეგები.

ჯეროვნად ვაფასებთ რა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მუშაკთა წარმატებებს, ამავე დროს თვალს არ ვარიდებთ ნაკლოვანებებს, ზოგჯერ ძალიან სერიოზულ ნაკლოვანებებსაც სახალხო მეურნეობის ამ დარგების მუშაობაში, პირუთვნელად ვაკრიტიკებთ მათ და მოვითხოვთ, რომ უკეთ იყოს დაკანონებული შინაგანი რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის, მეურნეობის ყაირათიანი გაძღოლისათვის მუშაობა.

ამავე დროს ჩვენ ვამტკიცებთ: ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები რწმენას გვმატებს, რომ სწორ გზას ვადგავართ და ეჭვი არ არის, რომ ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანები წარმატებით გადაწყდება ხალხს შეუპოვარი გარჯის წყალობით.

რესპუბლიკის გაზრდილი ეკონომიკური პოტენციალი იმის საიმედო ბაზა გახდა, რომ შესაბამისად გაგვეუმჯობესებინა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, გაგვედიდებინა შრომითი შემოსავალი, საჭონლბრუნვა, დაგვეჩქარებინა საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საადგილმყოფოების საექსპლოატაციოდ გადაცემა, კიდევ უფრო განგვეკითარებინა მეცნიერება და კულტურა.

არის გარკვეული კანონზომიერება და თანამიმდევრობა იმაში, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე მოწვეულობის, სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანების, კაპიტალური მშენებლობის ორგანიზაციის საკითხების განხილვის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენთან ერთად ღრმად გავრკვეულიყავით და ყოველმხრივ განგვეხილა ტრანსპორტის პრობლემები.

სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგს ნორმალურად მუშაობა და დაძაბული გეგმების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ შეუფერხებლად მოემსახურება ტრანსპორტი. და ტვირთზიდვაზე რესპუბლიკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რა თქმა უნდა, მთავარ როლს ასრულებს ამიერკავკასიის რკინიგზა — ჩვენი მხარის ძირითადი ეკონომიკური არტერია. ტვირთზიდვის უდიდესი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს რკინიგზა, რომელიც გადაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საზღვრებიდან რუსეთის სფსრ კრასნოდარის მხარემდე, მოუცავს რესპუბლიკის ძირითადი სამრეწველო ცენტრები და ბევრი საოფლო-სამეურნეო რაიონი.

18 მილიარდი ტონაკილომეტრი — ასეთია 1978 წლის ტვირთბრუნვა. შესადარებლად დავინტერესდით, ტვირთბრუნვის რა ღონეა მთელი რიგი იმ კაპიტალისტური ქვეყნების რკინიგზებზე, რომლებიც ტერიტორიით, მოსახლეობის რიცხვით დაახლოებით საქართველოს თანაბარი არიან, ან გვესაზღვრებიან. გამოირკვა, რომ ბელგიის რკინიგზებზე წლიური ტვირთბრუნვა შეადგენს 6,7 მილიარდ ტონაკილომეტრს. ჰოლანდიისა—2,7 მილიარდ ტონაკილომეტრს და თურქეთისა — 7,9 მილიარდ ტონაკილომეტრს. მაშასადამე, მარტო ამიერკავკასიის რკინიგზა ასრულებს მეტი მოცულობის ტვირთზიდვის სამუშაოებს, ვიდრე ჩამოთვლილი კაპიტალისტური ქვეყნები ერთად.

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ინფორმაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე ტვირთბრუნვა გაიზარდა 104,3 პროცენტი, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზაზე — 112,5 პროცენტით. ამ დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლით ამიერკავკასიის რკინიგზა საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე გამოვიდა.

ტვირთის გაგზავნის (დატვირთვა ტონობით) ზრდამ საბჭოთა კავშირის რკინიგზის ქსელში შეადგინა 104,3 პროცენტი, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზაზე — 112,8 პროცენტი. ამიერკავკასიის რკინიგზას მესამე ადგილი უკავია ბელორუსიისა და ყაზახეთის რკინიგზების შემდეგ.

სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის რკინიგზების ქსელში ვაგონების ბრუნვა შენელდა 8,9 პროცენტით, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზაზე — 10,5 პროცენტით. ამ უნიკალური მაჩვენებლით რკინიგზა მე-16 ადგილზეა, რაც, რა თქმა უნდა, შეუწყნარებელია.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ტვირთზიდვის მაღალი დონე უნდა შევუხამოთ მგზავრთა ინტენსიურ გადაყვანას. მხედველობაში ვიღებთ რა ამ არცთუ უმნიშვნელო გარემოებას, აგრეთვე ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის რკინიგზის ნათლად გამოხატული მთიანი პროფილი და მეორე ლინდგაგებით არასაკმარისი უზრუნველყოფა, ტრანსპორტის დარგის სპეციალისტებიც რომ არ ვიყოთ, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა დაძაბულ პირობებში მიმდინარეობს სექსპლოატაცია მუშაობა.

ამიერკავკასიის რკინიგზას ვერ მივიჩნევთ ჩვეულებრივ სატრანსპორტო მაგისტრალად. საქართველოს სს რესპუბლიკისათვის მას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, რომელიც ამაყად ციმციმებს მაგისტრალის დროშაზე, მარტო საწარმოო სფეროში მისი წარმატებების აღიარება როდია.

ამიერკავკასიის რკინიგზა, რომლის პირველი — ფოთ-თბილისის უბანი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1872 წლის ოქტომბერში, ე. ი. ას წელზე მეტი ხნის წინათ, გაყვანილია რთული რელიეფის პირობებში, შენდებოდა ისეთი უნიკალური საინჟინრო ნაგებობანი, როგორიც არის სურამისა და ჯაჯურის გვირაბები, მოლითისა და ზამანლის ვიადუკები და სხვ. იგი თავისი დროისათვის სამამულო ინჟინრული აზრის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო.

ამიერკავკასიის რკინიგზას დიდი ეკონომიკური და კულტუ-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ფერმებს — საკუთარი საკვები!

ხობისა და გურჯაანის რაიონების სოფლის მშრომელთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა საკვებდამამზადებელს

19-20 მაისს საკვების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების სეზონისათვის მზადყოფნის დათვალიერებაა

ხალხის კეთილდღეობის არსებითი გაუმჯობესება მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცხოველეობის აღმავლობას. უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების გადიდებისათვის. ამასთან საქმის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დარგის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ საკვები ბაზა. მტკიცე საკვები ბაზის შექმნა დაუსახეს სოფლის მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმებმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა. პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან ერთად ჩვენ ვაფასებთ საკვები კულტურების ნათესებს, ყველანაირად ვადიდებთ სამარცვლე ფურაჟის წარმოებას.

ჩვენი რაიონები სხვადასხვა კლიმატურ ზონაში მდებარეობს. ჩვენში ბალახისა და ძირხვენების მოყვანის თავისებური პირობებია, მაგრამ გვაქვს ერთი საერთო რამ — ეს არის რეალური შესაძლებლობა ინტენსიურად გამოვიყენოთ საკვებწარმოების რეზერვები, უზრუნველვყოთ საზოგადოებრივ და პირად მეურნეობათა პირუტყვი საკუთარი წარმოების საკვებით, გადავაქციოთ მეცხოველეობა მაღალპროდუქტ

რესპუბლიკის რკინიგზელთა მუშაობა — სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების დონეზე

(გაგრძელება)

რული მნიშვნელობა აქვს. მისმა მშენებლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხთა ცხოვრებაში. რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში შეიქმნა პირველი მარქსისტული წრეები, სადაც ლენინური წრეობა გაიარეს პროფესიონალ რევოლუციონერთა კადრებმა, ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამიერკავკასიის რკინიგზა იყო ამიერკავკასიაში მუშათა რევოლუციური მოძრაობის აკვანი. აქ 1891-1892 წლებში მუშაობდა და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ა. მ. გორკი. 1898 წლიდან მარქსისტული მოძღვრების პროპაგანდაა წარმოებდა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. 1900 წელს რკინიგზელთა გაფიცვას ხელმძღვანელობდა მ. ი. კალინინი.

რკინიგზელები გაბედულ, შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკების, მუსავათელების, დაშნაკების წინააღმდეგაც, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ მათგან მემკვიდრეობით მიიღო დანგრეული მეურნეობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღდგენილიყო. ამას უდიდესი ენერგია სჭირდებოდა, უნდა აღედგინთ და განვითარებინათ სახალხო მეურნეობა და უპირველეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტი.

1922 წელს საქართველოში გზათა სახალხო კომისარი ფ. ე. ძერჟინსკი ჩამოვიდა და უშუალო მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის აღდგენის მწვავე პრობლემების გადაჭრაში.

რკინიგზის რეკონსტრუქციის მთავარი რგოლი იყო ელექტრიფიკაცია. უკვე 1921 წელს შეუდგენენ წყლის რესურსების ძიებას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. პრაქტიკულად ორი ელექტროსადგური — ზაჰესი და რიონჰესი, რომლებმაც ენერგია მისცეს მატარებლების წევისათვის, შეერთდა 110 კილოვატი სიმძლავრის 200 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზით, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო საბჭოთა კავშირში.

ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო სურამის უღელტეხილის უბნის ელექტრიფიკაციასთან, დაპრიალებებთ დაწყებული და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით დამთავრებული, საკუთარი ძალებით შესრულდა. მაშინ არ ჰქონდათ გამოცდილება, არ იყო მზა გადაწყვეტილებანი. მაგრამ უმაგალითო საბჭოთა პატრიოტიზმმა და მისწრაფებამ თავისი წვლილი შეეტანათ გოელროს გეგმის შესრულებაში, უზარმაზარეყო ამოცანის ბრწყინვალედ გადაწყვეტა. 5 წელიწადში — 1927-დან 1932 წლამდე საბჭოთა კავშირში პირველი მაგისტრალური უბანი ელექტრიფიცირებული იყო და ელმავლებმა პირველმა მატარებელმა უღელტეხილის უბანზე გაიარა 1932 წლის 16 აგვისტოს.

სურამის უღელტეხილის შემდეგ მზარდი ტემპით გრძელდებოდა რკინიგზის სხვა უბნების ელექტრიფიკაცია და 1941 წლისათვის ელექტროწევაზე გადაყვანილ იქნა დაახლოებით 300 კილომეტრი.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე მიღწეულმა რკინიგზის ტრანსპორტის აღმავლობამ, რკინიგზელთა გაზრდილმა დისციპლინამ და კვალიფიკაციამ უზრუნველყო დიდი სამამული ომის მკაცრ პირობებში მაგისტრალის შეუფერხებელი მუშაობა. ომის დაწყებისთანავე ამიერკავკასიის რკინიგზა ემსახურებოდა ირანის ჯარფა-თავრიზის რკინიგზის ხაზს, ხოლო მოგვიანებით მისი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობდა მტრის მოგერიებაში, რომელიც ამიერკავკასიაში მოიწევდა, გერმანელ ფაშისტთა ჯარების გასაღგურებაში ჩრდილოეთ კავკასიაში და კავკასიის ტერიტორიის განთავისუფლებაში.

ომის პერიოდში რკინიგზის კოლექტივმა 19-ჯერ გამარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და 12-ჯერ დაჯილდოდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ოპერატიულ ვითარებაში, დროებითი სქემით განხორციელდა შავი ზღვის ხაზის ჩრდილოეთისა და სამხრეთი უბნების შეერთება ჯარების გადასაყვანად. ამ ხაზმა მარტო ომის დროს როდი შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, მან მერიუ, უფრო მოკლე გასასვლელი შექმნა ამიერკავკასიიდან, რითაც მკვეთრად გაუმჯობესა სახალხო სამეურნეო კავშირურთიერთობა, მგზავრების გადაყვანა და ტვირთზიდვა.

ომისშემდგომი პერიოდის მთელი რიგი ახალმშენებლობებიდან დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ერევან-რაზდანსევანის ხაზს, რომელიც ახლა სევანის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე გრძელდება.

ომისშემდგომი ხუთწლედების მანძილზე შესამჩნევად იცვალა სახე მაგისტრალმა, რომლის ფოლადის ლიანდაგებმა განამტკიცა ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიული მეგობრობა და ძმობა.

მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის რკინიგზა დამოუკიდებლად გამოიყო, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რკინიგზელთა მეგობრობა და თანამშრომლობა არათუ არ შენელებულა, არამედ კვლავ ვითარდებოდა და მტკიცდებოდა. რკინიგზების აღჭურვის ტექნიკური ღონისძიებანი ერთიანი გეგმით ხორციელდება. მათი კოლექტივები ერთმანეთს უზიარებენ ფასდაუდებელ გამოცდილებას.

მტკიცე მეგობრობა აკავშირებს ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის მგზავრალგბის რკინიგზელებს. ეს მკაფიოდ ვლინდება შავი ზღვის შესაპირაპირებელ ხაზზე ყოველდღიური ერთსულოვანი მუშაობით და, უწინარეს ყოვლისა, ორი დიდი მრავალეროვანი კოლექტივის ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრებით.

იმ პერიოდში, როცა ჩრდილოეთკავკასიელები ადღერ-ტუაფსეგელორეჩენსკაიას მონაკვეთების ელექტრიფიკაციის სამუშაოებს ასრულებდნენ, ამიერკავკასიელები მათ ყოველმხრივ პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ, უზიარებდნენ საკონტაქტო ქსელისა და წევის ქვესადგურების დამონტაჟების მდიდარ გამოცდილებას. თავის მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის სპეციალისტები დაეხმარნენ ამიერკავკასიის ლიანდაგის მუშაკებს სამტრედიის განყოფილების უბნების სადისპეტჩერო ცენტრალიზაციით აღჭურვაში. სამტრედიელი დისპეტჩერები პრაქტიკას გადიოდნენ ტუაფსეგს განყოფილებაში. მრავალი წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან ტუაფსესა და სოხუმის სალოკომოტივო დეპოების, სოხუმისა და სოჭის ვაგზლების კოლექტივები.

მეგობრობა და ურთიერთდახმარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც ამიერკავკასიის რკინიგზელთა წინაშეა დასახული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში.

საქართველოში ძნელია იპოვო ისეთი ოჯახი, რომელიც ასე თუ ისე არ იყოს დაკავშირებული რკინიგზასთან. თითქმის ყოველ ჩვენს სამინისტროში შეხვდებით ხელმძღვანელ სამუშაოზე — თვით მინისტრის ჩათვლით ყოფილ რკინიგზელებს. ხალხში რკინიგზელს დიდი ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი და სპპკიიდან ითვლება მისი შრომა. ახლანდელი თაობის ღირსების საქმეა კი არ დაკარგოს, არამედ უფრო განადიდოს ეს სახელი.

როცა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მუშაკთა მიღწევებზე ვლაპარაკობთ, კარგად გვესმის, რომ ეს წარმატებანი წარმოუდგენელი იქნებოდა, რკინიგზელები რომ არ დაგვხმარებოდნენ კოლოსალური მოცულობის ნედლეულის, მასალების, საწყავის გადაზიდვასა და მზა პროდუქციის დროული გადატანაში.

სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვის ხუთწლედის სამი წლის გეგმა შესრულებულია ვადამდე, 1978 წლის 27 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით დატვირთულია 577,3 ათასი ტონა. მეცხრე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადთან შედარებით მატებამ 30,6 პროცენტი შეადგინა.

მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რკინიგზა სრულად ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის ადგილეული დარგების მოთხოვნებს. მაგალითად, 1978 წელს სამტრედიის განყოფილებამ გადაიხადა ჯარიმა — 294 ათასი მანეთი იმის გამო, რომ ვაგონები და კონტეინერები დროულად ვერ მიაწოდა გეგმით გათვალისწინებული ტვირთზიდვისათვის, ხოლო თბილისის განყოფილებამ — 154 ათასი მანეთი.

ხშირად კრიზისული სიტუაცია იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების — ბოსტნეულის, კარტოფილის, ციტრუსების გადაზიდვაში, რომელთა დატვირთვა-გაგზავნის შეყოვნება შეუწყნარებელია. შარშან სადღეო კარტოფილის თითქმის მთელი პარტია დახურული ვაგონებით გადაჰქონდათ, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა პროდუქციის ხარისხზე.

ამას წინათ პრესის ცენტრალურმა ორგანოებმა, კერძოდ, „ლიტერატურნაია გაზეთამ“, მიზნად დაისახეს დაედგინათ, სად ხდება ხილის ხარისხის გაუარესება და გაფფუჭება, განახორციელეს ექსპერიმენტი, რომელმაც გამოავლინა სერიოზული დეფექტები მალფუჭებადი პროდუქტების მოძრაობისადმი კონტროლის სისტემაში: ვაგონები რამდენიმე დღეღამეს დგანან სადგურებში და ელოდებიან გაგზავნას, ზოგჯერ კი მათ დანიშნულების ადგილას გაგზავნან შემოვლითი გზით ნაცვლად უმოკლესი გზისა, ამიტომ პროდუქციის მიწოდების ვადა უზუბუდა ირღვევა. ჩვენს ქვეყანაში არსებობს ტვირთზიდვის დაგეგმვის ზუსტად შემუშავებული სახელმწიფო სისტემა, რომელიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის მოთხოვნებსა და ტრანსპორტის შესაძლებლობებთან, გადასაზიდი საშუალებებით, შრომითი და ენერგეტიკული რესურსებით მის უზარმეზეგოდ ყოფასთან და ა. შ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს საკითხი: ხომ არ არის ტრანსპორტზე ფარული რეზერვები, რომ ლოკომოტივებისა და ვაგონების უკეთ გამოყენების გზით გავადიდოთ ტვირთის გადაზიდვა მოცულობა, ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილება? როგორც უკვე აღინიშნა, ეს აქტიური დღის წესრიგის ძირითადი საკითხი და დღეკანდელი საუბრის მთავარი საგანია.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რკინიგზის საექსპლოატაციო მუშაობაში იგრძნობა ერთი მეტად უარყოფითი ტენდენცია — ვაგონების ბრუნვის გაზუსტირული შენელება. თუ 1975 წელს იგი შეადგენდა 2,58 დღე-ღამეს, 1976 წელს შენელდა 2,63 დღე-ღამემდე, 1977 წელს 2,64 დღე-ღამემდე და 1978 წელს მიაღწია 2,83 დღე-ღამეს. გეგმით გათვალისწინებული 2,58 დღე-ღამის ნაცვლად.

რას ნიშნავს ბრუნვის ეს შენელება რკინიგზის ტრანსპორტისა და მთლიანად სახალხო მეურნეობისათვის?

დღე-ღამეში ვაგონის ბრუნვის შენელების ყოველი მეათედი წილი ამიერკავკასიის რკინიგზის პირობებში გვიკარგავს შესაძლებლობას წელიწადში გადაზიდოთ 3 მილიონი ტონა ტვირთი. ვაგონების ბრუნვის 10 პროცენტით შენელებამ შარშან სახალხო მეურნეობას დაუკარგა შესაძლებლობა დამატებით გადაეზიდა 7,8 მილიონი ტონა ტვირთი.

ვერ შევურიგდებით, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, რომ ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანაში მე-16 ადგილზე ვიყოთ.

ვაგონების ბრუნვის დაჩქარება დატვირთვის მოცულობის გადიდებისა და ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მთავარი რეზერვებია.

სავსებით შესაძლებელია, რომ ტვირთზიდვაზე ასეთი დამატებითი მოთხოვნილება რესპუბლიკაში არც იყო, მაგრამ მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით ასეთი მოთხოვნილება უთუოდ არსებობდა.

1975-დან 1978 წლამდე ვაგონების დატვირთვის მაჩვენებლები 10 პროცენტით გაიზარდა, ხოლო რკინიგზაზე ვაგონების სამუშაო პარკი ამავე ხნის მანძილზე 17 პროცენტით გადიდდა, მაშასადამე, თუმცა რკინიგზამ შეასრულა ტვირთზიდვის გეგმა, მაგრამ ეს მეტად ძვირი დაუჯდა. იგი იყენებდა ვაგონებს, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა და რკინიგზის ქსელის სხვა უბნებს არომეევდა დასატვირთ რესურსებს. გეგმის ასეთი შესრულება, რა თქმა უნდა, ხელს არ გვაძლევს.

ცალკეულ პერიოდებში სამუშაო პარკის სიჭარბე რამდენიმე ათას ვაგონს აღწევდა. ამ მიზეზის გამო ძირითადი კვანძები და სადგურები იქცეოდნენ ვაგონების უუფლებოდ დაყოვნების ადგილად, კარგავდნენ მანევრულობას მუშაობაში, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა სიფლეებს რკინიგზის საექსპლოატაციო საქმიანობაში.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთი ბრუნვის პროცესში დროის 89,5 პროცენტი ვაგონი სადგურის ლიანდაგებზე დგას და მხოლოდ დროის 10,5 პროცენტი მოძრაობს მატარებლების შემადგენლობებში.

ისმება კითხვა: რამდენად გამართლებულია ვაგონების ასეთი ხანგრძლივი მოცდენა? გვესმის, რომ სადგურებში ვაგონის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის საჭიროა გარკვეული დრო. ამ მიზნით ხორციელდება ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და განისაზღვრება მოცდენის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები.

ნორმის მიხედვით ვაგონის ერთ სატვირთო ოპერაციას სჭირდება არა უმეტეს 21,7 საათისა, ფაქტიურად კი შარშან მოცდენამ 23,71 საათი შეადგინა, ე. ი. ნორმაზე 9,4 პროცენტით მეტი. გავლილ სამ წელიწადში ვაგონების მოცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს გაიზარდა 1,5 საათით ანუ 7 პროცენტით.

სამანევრო მუშაობისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების ტექნოლოგიას რომ სრულყოფთ, კი არ უნდა გავადიდოთ, არამედ წლითიწლითი შევამციროთ ვაგონების მოცდენა.

ჩვენ ვიცით, რომ ვაგონების დაყოვნება მნიშვნელოვანწილად ხდება რაუსპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს მიზეზით, რომლებმაც ვერ შეძლეს ზუსტად მოეწყოთ დატვირთვის ოპერაციები საქვეუწყებო საწარმოების მისასვლელ ლიანდაგებზე. მათ შესახებ საგანგებო საუბარი გვიქნება.

მაგრამ თვით რკინიგზის სადგურები ამ საკითხში უარყოფითს მაგალითს იძლევიან.

თბილისის კვანძის სადგურების შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ ყველაზე დიდი — თბილისის საკვანძო სადგურები და თბილისის საკვანძო სადგურები სიძნელეებს განიცდიან იმის გამო, რომ შეზღუდულია მათი სასაწყობო ტევადობა, საკმარისად არ იყენებენ მექანიზაციას, აკლიათ მტვირთავი მუშები.

აი რატომ არის, რომ ერთი საატვირთო ოპერაციის დროს ვაგონების მოცდენა, რომელიც თბილისის სატვირთო სადგურში 1975 წელს 25,2 საათს შეადგენდა, ყოველწლიურად იზრდებოდა და 1978 წელს 35 საათს მიაღწია და ნორმას 32 პროცენტით გადაჭარბა.

ხელმიშვებულია მუშაობა სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის ნორმების დაცვაში ეგრეთ წოდებულ შუალედურ სადგურებში, ესე იგი კასპის, აბაშის, სვირის ტიპის სადგურებში.

ამ სადგურებს, რომლებიც უპირატესად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს ემსახურებიან, სოლიდური ტვირთბრუნვა აქვთ და დიდმნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე 104 ასეთი სადგურია. 1975 წელს 57 მათგანმა შეასრულა სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის ნორმა, 1976 წელს—39, 1977 წელს — 36, ხოლო 1978 წელს — მხოლოდ 19 სადგურმა.

რკინიგზა, რომელმაც თანდათანობით დათმო თავისი პოზიციები, იქმედი მეიდა, რომ ამ-ყმაფად სადგურების 82 პროცენტი ვერ ასრულებს ვაგონების მოცდენის საგეგმო ნორმას.

მინდა შევეხო ვაგონების მოცდენის ისეთ ნაირსახეობას, რომელთანაც ტრანსპორტის კლიენტურას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. საქმე ეხება სატრანზიტო ვაგონების მოცდენას სახარისხებელ და საყობნო სადგურებში, სადაც წარმოებს მნიშვნელოვანი ვაგონნაკადების გადამუშავება და სხვადასხვა მიმართულების მატარებლების შედგენა. 1975 წელს ვაგონების საშუალო მოცდენამ ამ სადგურებში 5,87 საათი შეადგინა, ხოლო 1978 წელს 6,38 საათს მიაღწია.

როგორც ზედავთ, აქაც გვაქვს ვაგონების მოცდენის ზრდის ტენდენცია.

აქ ამინდს ქმნის თბილისის სახარისხებელი სადგური, სადაც შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა 1,3 მილიონი მანეთი ღირებულების მექანიზებული გორაკი, რის მეოხებით ვაგონის გადამუშავების უნარი თეორიულად დღე-ღამეში ასობით ვაგონამდე გაიზარდა.

მაგრამ ვერც ერთხელ, ყველაზე ზელსაყრელ დღესაც კი, გორაკმა ვერ მიაღწია თავის საპროექტო სიმძლავრეს. ამავე დროს თბილისის სახარისხებელმა სადგურმა მიღებაზე უარის თქმის გამო მისასვლელ გზებზე დაყოვნა 4.382 მატარებელი 9.705 საათით, რის შედეგადაც სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

1977 წელს თბილისის სახარისხებელმა სადგურმა, რომელიც მუშაობდა ძველ ნახევარგორაკზე, სადაც ხელის შრომა იყო, შეასრულა ვაგონის საშუალო მოცდენის ნორმა — 7,9 საათი, 1978 წელს კი გაუმჯობესებელი ტექნიკური ბაზის პირობებში, მოცდენა 8,7 საათამდე გაიზარდა.

რით არის გამოწვეული ასეთი მდგომარეობა?

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის დამოკიდებული სადგურის ხელმძღვანელებზე. საკმაოდ ღრმად არ არის ათვისებული ახალი ტექნიკა, რის გამო ზოგჯერ მწყობრიდან გამოდის ტელემბრანის სისტემა და ცდება გორაკი. დაკომპლექტებულია წამყვან პროფესიათა შტატი და ა. შ. მაგრამ იმ მთავარი მიზეზების აღმოფხვრა, რომელთა გამო სადგური მეფიქრებებით მუშაობს, დამოკიდებულია თბილისის განყოფილებისა და მისდამი დაქვემდებარებული სადისპეტჩერო აპარატის ხელმძღვანელობაზე.

ტექნოლოგიური პროცესის თანაბამად მომზადებული შეპადგენლობა გასაგზავნ ვაგონებს შემოწმებისა და ლოკომოტივის მისვლის მოლოდინში შეიძლება 54 წუთს იდგეს. პრაქტიკულად კი გამზადებული მატარებლები ორჯერ მეტ ხანს ყოვნდება — საშუალოდ 2 საათს. ეს აფერხებს ოთხი მხრიდან განოწყვიტლივ მომავალი მატარებლების მიღებას.

და აი სეკ, სადგურის მუშაობის ტექნოლოგიის ერთი დარღვევა იწვევს მთელ რიგ სხვა დარღვევებს, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ფოქიზს მატარებლების მოძრაობას.

ელმავლები საკმარისია, მაგრამ მათ აშკარად არ იყენებენ დამაკმაყოფილებად. ელმავლების სამუშაო დროის დაახლოებით 9-10 პროცენტი ფუჭად იხარჯება სადგურებში არამწარმოებლურ გაჩერებებზე.

უკეთ უნდა გამოვიყენოთ ლოკომოტივები იქ, სადაც ისინი საჭიროა.

თბილისის სახარისხებელ სადგურში აშენებულია 1,5 მილიონ მანეთად ღირებული სპეციალური საექსპლოატაციო დეპო, მაგრამ ლოკომოტივებით მატარებლების მოძრაობის უზრუნველყოფის მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა.

მატარებლის მიღებლობა მოძრაობის ერაფიკის ჩვეულებრივი დარღვევა ან წარმოებაში რიგითი ტექნოლოგიური შეფერხება როდია. ამ ფაქტს ძალიან ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

მიღებელ მატარებლებს რუსთავში აყენებენ. ეს სადგური თანდათანობით კარგავს მანევრულობას და თავს ვერ ართმევს თავის ძირითად ამოცანას — მომსახურეოს მსხვილი სამრეწველო ცენტრის საწარმოებს. მდგომარეობიდან გამოსვლის ძებნაში თბილისის განყოფილება იძულებული ხდება შეადგინოს მატარებლების მიღება მეზობელი კიროვაბადის განყოფილებიდან. აზერბაიჯანის რკინიგზა ამაზე იმით რეაგირებს, რომ აყოვნებს ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზიდან მატარებლების მიღებას.

დარღვევათა ჯაჭვი იზომება, მოიცავს ახალ რკინიგზებს. ამ ვითარებაში ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზა, ხოლო შემდეგ სხვა რკინიგზებიც მიმართავენ „რეგულირების“ დაუშვებელ ხერხებს, ზღუდავენ ტვირთის გამგზავნას სამხრეთისაკენ, ესე იგი აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში.

ამის შედეგად სახალხო მეურნეობა კარგავს ლითონის, ნეტყის, ცვილნტისა და სხვა მეტად საჭირო მასალების ფონდებს.

ყველა ეს სიძნელე განსაკუთრებით მწვავდება პეროიოდში, როცა ამა თუ იმ მოსაზრებით სამხრეთის ნაკადს, ესე იგი ჯოლფასა და ერევანში გასაგზავნ ტვირთს გზავნიან არა დადგენილი იმოშლის უბნით, არამედ დაგრძელებული გზით — კიროვაბადალტაფა-თბილისის გავლით.

ამ საკითხში საფუძვლიანად უნდა გავერკვეთ. თუ არის თბილის-ლენინაკან-მასისის გავლით სამხრეთის ნაკადის გატარების რეალური შესაძლებლობანი, უნდა განაზორციელოთ მათი პრაქტიკული გამოყენების ღონისძიებანი. მაგრამ თუ ასეთი შესაძლებლობანი არ არის, უაზროდ მიგვანია 220 კილომეტრით გავზრდოთ ტვირთის გადატანის გზა მხოლოდ იმიტომ, რომ მატარებლები დავაყენოთ და ჩავხერგოთ უკიდურესად შეზღუდული გამტარუნარიანობის მქონე უბნები.

როგორც ჩანს, ამ პრობლემის ყველაზე რადიკალური გადაწყვეტის გზა იქნებოდა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა, რაც ცალთვალსწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. ამ რკინიგზის მშენებლობაზე რკინიგზელთა რამდენიმე თაობა ოცნებობდა. მაგრამ თუ 50-100 წლის წინათ ამ რკინიგზაზე მოთხოვნილება არც ისე დიდი იყო, ახლა სამი მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ეკი ჰაერივით სჭირდება. მან უნდა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობასთან ამიერკავკასიის ეკონომიკური კავშირურთიერთობის რაციონალიზაცია და გაღრმავება. საუღელტეხილო რკინიგზა დაახლოებით 900 კილომეტრით შეამოკლებდა ტვირთის გადატანის მანძილს და შესაძლებლობას მოგვცემდა ასობით მილიონი მანეთით შეგვიმცირებინა ქვეყნის სატრანსპორტო ხარჯები.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ამხანაგ ი. გ. პავლოვსკისთან ერთად განვიხილოთ ამ უნიკალური გზის მშენებლობის ყველა ასპექტი.

ამ რკინიგზის მშენებლობით ერთნაირი დაინტერესება და სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ ამიერკავკასიის რესპუბლიკებმაც, საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმაც და, რა თქმა უნდა, გზათა სამინისტრომაც.

ივანე გრიგოლის ძეე, თქვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებით აქ ზოგიერთი ამხანაგი ხუმრობით ამბობდა, კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზა რომ ყოფილიყო, ალბათ თქვენ არ უფალატებდით მშობლიურ რკინიგზის ტრანსპორტს და თბილისში თვითმფრინავით არ ჩამოფრინდებოდით. თანამედროვე სიჩქარის პირობებში მოსკოვში ჩასვლას ხომ ერთი დღე-ღამე დასჭირდებოდა.

ჩვენ ასევე უნდა განვიხილოთ და განვახორციელოთ ღონისძიებები 1980 წლის მარადა-ახალქალაქის ახალი რკინიგზის ხაზის მშენებლობის დასაწყებად. ამ რკინიგზამ უნდა გარდაქმნას რესპუბლიკის სამხრეთი რეგიონის ეკონომიკა.

როცა თბილისის სახარისხებელი სადგურის მუშაობას ვიხილავთ, უნდა გავიხსენოთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ ამ სადგურის კოლექტივი იყო ამიერკავკასიის რკინიგზაზე ლუბლინოს სადგურის გამოკვდილების დანერგვის ინიციატორი და შესამჩნევი წარმატებებს აღწევდა ვაგონების მოცდენის შემცირებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოწინავეი კოლექტივის ინიციატივა და მიღებულ დადგენილებაში მთელ რკინიგზაზეა მისი გავრცელების რეკომენდაცია მისცა. ამ დადგენილების შესასრულებლად დიდი და სასარგებლო მუშაობა განხორციელდა. ამავე დროს ამ სადგურში არიან ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც თავს ნებას აძლევენ ამტკიცონ ლუბლინოს სადგურის მუშაობის მეთოდში თავისი დრო მოჭამა და თანამედროვე პირობებში ვერაფერს მოგვიცემსო. აშკარად მცდარი აზრია! ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ლუბლინოს სადგურის კოლექტივის მუშაობის მეთოდი — ეს არის შემოქმედებითი დამოკიდებულება შრომისადმი, ეს არის რეზერვების გულმოდგინე და დაუეჭვრომელი ძიება, ეს არის გონივრული, საინჟინრო მეცნიერების უახლესი მიღწევების საფუძველზე ორგანიზებული წარმოების პროგრესული ტექნოლოგია.

ლუბლინოს სადგურის შრომეულთა გამოცდილება იყო და არის ყველაზე მძლავრი იარაღი ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის ბრძოლის არსენალში. უნდა ავალოთრძინოთ მისი სულისკვეთება ყველა სადგურში.

თბილისის სახარისხებელ სადგურში შექმნილი ვითარება გარკვეულწილად ტიპურია ზაშურის, სამტრედიის, სოხუმისა და სხვა სადგურებისათვის, სადაც ადრეთვე გაიზარდა სატარანტო ვაგონების მოცდენები, ხოლო მიღებლობის გამო გახშირდა მატარებლების დაყოვნება მისასვლელ გზებზე.

ჩვენ ამოცანად არ დადგისახავს და არც გვქონდა შესაძლებლობა შეგვიმოწმებინა რკინიგზის ყველა კვანძის მუშაობა, მაგრამ ზაშურის სადგური მაინც შეგამოწმეთ.

დატვირთვის გეგმა აქ შესრულდა 90 პროცენტით, ხოლო „გადმოტვირთვისა — 89 პროცენტით, სატრანზიტო ვაგონების მოცდენები ნორმას 3,3 საათით აღემატება, სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენა კი 4,2 საათით. წლის მანძილზე სადგურში აღირიცხა შრომისა და საწარმოო დისციპლინის 60 დარღვევა. მოხდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, რაც დაკავშირებულია ყალბი დოკუმენტებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სპეკულაციის მიზნით ხილის გატანასთან.

სადგურის ადმინისტრაცია და თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ უთმობენ რკინიგზელთა მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას. ზაშურის მეორე სადგურში არ არის დასასვენებელი და დასანაყრებელი ოთახები, გასახდელები, საშხაპეები, სასაადილო და ა. შ. არ არის ფეხით სასიარულო გზები ზაშურის პირველ და ზაშურის მეორე სადგურებს შორის და სადგურის მუშაკები ლიანდაგებზე დადიან, რითიც აფრთხილებენ უსაფრთხოების ტექნიკას.

შრომითი კოლექტივის საჭიროებისადმი ადმინისტრაციის ასეთი აგდებული დამოკიდებულება დასაგმობია.

რკინიგზაზე მკვეთრად შემცირდა მატარებლების მოძრაობის სიჩქარე.

ცნობილია ბევრი მიზეზი, რომლებიც უარყოფითს გავლენას ახდენს მატარებლების მოძრაობაზე, მაგრამ თუ მთავარ მიზეზებზე ვილაპარაკებთ, ეს სადგურების მიერ მატარებლების მიღებლობა და გამტარუნარიანობის ეფექტიანობა. ზოგიერთ უბანზე ეკი მთლიანად ამოწურულია ყველა შესაძლებლობა და მატარებლების მოძრაობის სიჩქარის შემდგომი გადიდება შეუძლებელია, თუ არ განხორციელდა კაპიტალური ღონისძიებები.

აქ მჭიდროდ ვეუახლოვდებით საკითხს, რომელიც, როგორც ჩანს, რაკინიგზელებს ყველაზე მეტად აინტერესებთ. ეს არის მეორე ლიანდაგების დაგება. ამ საქმეში ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩამოვრჩით.

რამდენადაც მეათე ხუთწლედის პირველი სამი წლისათვის მეორე ლიანდაგების მშენებლობის, სადგურებისა და კვანძების განვითარებისა და რკინიგზის გამტარუნარიანობისა და ზედვუნარიანობის ამაღლებისთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებისათვის გათვალისწინებული სახსრები გამოიყოფოდა არასაკმარისი ოდენობით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო ეს საკითხები დაეყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამიერკავკასიის რკინიგზის რეკონსტრუქციისა და მისი ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი სპეციალურად განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომელმაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალა გზათა სამინისტროსთან და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროსთან ერთად განიხილოთ და გადაწყვიტა რესპუბლიკის მიერ დასმული საკითხები.

ახლა ჩვენ გვაქვს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გადაწყვეტილება — ავტორიტეტული დოკუმენტი, საიდან ჩამოთვლილია რკინიგზის ძირითადი ობიექტების, მათ შორის მეორე ლიანდაგების მშენებლობის მოცულობები და ვადები. საჭიროა დაევუწესოთ კონტროლი მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას და მივაღწიოთ ყველა შემუშავებული ღონისძიების განხორციელებას.

მაგრამ არაობიექტური ვიქნებით, თუ არ ვადიარებთ, რომ იმ არასაკმარის სახსრებსაც კი, რომლებიც ამიერკავკასიის რკინიგზის კაპიტალური მშენებლობისათვის გამოიყოფოდა, დამაკმაყოფილებლად ვერ ვითვისებდით. მაგალითად, მეათე ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტმა ვერ აითვისა 2,5 მილიონი მანეთი. ხუთწლედის დამდეგიდან არ ყოფილა წელი, რომ მშენებლებს მეორე ლიანდაგების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შეესრულებინოთ.

ამბობენ თბილისგვირაბმშენის უფროსს ამხ. ვ. დ. გოცირიძეს ძალიან სწყინს, როცა ეტყვიან ხოლმე, ასი წლის წინათ ინჟინერმა რიძიეკვლამ სურამის რთული ოთხკილომეტრიანი გვირაბის მშენებლობას იმდენი დრო მოანდომა' რამდენიც მას მეხეთა-ზაჰესის გადასარბენზე ერთკილომეტრიანი გვირაბის მშენებლობისათვის დასჭირდაო. მაგრამ ფაქტები ჯიუტია!

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ ფაქტებზე — ეკონომიკურ გადამწყვეტ ინჟინერულ-ტექნიკ

რესპუბლიკის რკინიგზელთა მუშაობა — სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების დონეზე

(დასასრული)

ბათუმში უკეთესად არის ორგანიზებული. მხარი უნდა დავუჭიროთ ბათუმელ მეზღვაურებს და მათი მოწინავე გამოცდილება ყველგან დავნერგოთ. როცა სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს კარიერიკებთ ვაგონების შეუწყნარებელი მოცდენისათვის, ორიგო არ იქნებოდა გვინახა როგორ აწყობს თვით რკინიგზა საგვირთო ოპერაციებს? სადგურის ლიანდაგებსა და საწყობებში ვაგონების დატვირთვა-განტვირთვა ხომ თვით რკინიგზას ევალება. მაგრამ დაახლოებითი მონაცემებით ამჟამად რკინიგზა მოიცავს ამ ტვირთბრუნვის არაუმეტეს ნახევრისა. არ წყდება ტვირთის გატანა-შემოტანის ასპროკენტიანი კენტრალიზაციის საკითხები თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სამტრედიის, გორისა და სხვა ქალაქების სადგურებში, ხოლო კენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების შეთანხმებული გეგმები, რაიონული მასშტაბის სადგურების ჩათვლით, არ სრულდება.

აღნიშნული მიზეზების გამო რკინიგზის საშუალებებით ტვირთის გადამუშავება არ იზრდება.

საკონტროლო აწონის მონაცემების მიხედვით, რომელსაც შერჩევით აწარმოებენ რკინიგზის სადგურები, ვაგონების 30,7 პროკენტი დატვირთვის ადგილიდან საშუალოდ 1,3 ტონით უმარტვირთული გადიან იმ ტექნიკურ ნორმასა თუ წონასთან შედარებით, რომელიც აღნიშნული ზედნადებებში.

კიდევ კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ ზარალი, რომელიც სახელმწიფოს მოსდის იმის გამო, რომ მთლიანად არ იყენებენ ვაგონის აშწე ძალას, მოვიყვანთ ასეთ მაგალითებს: 1978 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს მერეული შავი ლითონების ტრესტის ბაჩიანის ბაზიდან რუსთავში ჩავიდა ჯართით დატვირთული შვიდი ნახევრვაგონი, რომლებიც 194 ტონით უმარტვირთული იყო, ესე იგი საშუალოდ ვაგონს 28 ტონა აკლდა. ერთი თვით ადრე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დარეკვითის გაერთიანებაში 25 ვაგონი უმატვირთული იყო 161,8 ტონა ინერტული მასალებით, ანუ ვაგონს აკლდა 6,5 ტონა. დამეთანხმეთ, რომ ასეთ პრაქტიკას სხვას ვერაფერს ვეწოდებთ, თუ არა ანტისახელმწიფოებრივს.

ეჭვი არ არის, რომ რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობაში ნაკლოვანებების გარკვეული ნაწილი გამოწვეულია მისი მეტისმეტი დატვირთვით, მუშაობით, რომელიც, როგორც იტყვიან, ტექნიკურ შესაძლებლობებს აღემატება...

